სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/126

30 სექტემბერი 2022 წ.

ქ. თბილისი

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ქონების სს „ლეგიას“ ქონებაში გაცვლის თაობაზე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 521-ე-523-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, სს „ლეგიას“ დირექტორის, ზურაბ ხოჯაშვილის 2022 წლის 30 სექტემბრის წერილის (1195628), ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 01 სექტემბრის №5005968422 და 2022 წლის 09 სექტემბრის №5006172022 დასკვნების, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, ბექა მაისურაძის სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30სექტემბრის № 01-05-04/28 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს წინადადება - თბილისში, მერაბ კოსტავას, 71-ში, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-7 სასწავლო კორპუსის შენობის პირველ სართულზე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 984,41კვმ ფართიდან 854,31 კვმ ფართის (ს/კ01.10.13.040.003.01.01.517) თბილისში, მერაბ კოსტავას,77-ში, სს „ლეგიას" საკუთრებაში არსებული 65,01 კვმ ფართობში (ს/კ 01.10.13.023.181) გაცვლის თაობაზე შემდეგი პირობებით:

ა) უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გაცვლა განხორციელდეს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 01 სექტემბრის №5005968422 დასკვნის შესაბამისად დადგენილი ქონების საბაზრო ღირებულების - 683 449 აშშ დოლარის და გასაცვლელი ქონების საბაზრო ღირებულებას - 240 277 აშშ დოლარის ოდენობებს შორის სხვაობის - 443 172 აშშ დოლარის სს „ლეგიას" მიერ უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ;

ბ) ქონების გაცვლის თაობაზე გარიგების დადებიდან არაუგვიანეს 6 თვისა, სს „ლეგია" უზრუნველყოფს ფართზე არსებული იჯარის ხელშეკრულების გაუქმებას და გადასაცემი ფართობის გამოთავისუფლებას;

გ) უნივერსიტეტი ქონების გაცვლის თაობაზე გარიგების დადებამდე უზრუნველყოფს თავის საკუთრებაში არსებულ ფართობთან დაკავშირებით სს „ლეგიას" 2022 წლის 30 სექტემბრის წერილით წარმოდგენილი პირობების შესრულებას.

2. კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილებით გათვალისწინებულ საკითხი შესათანხმებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**